ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(1) **1.** მოსწავლემ დაწერა: *სოციალური ქსელების ზეგავლენა სულ უფრო მასიური ხდება.*

მიუთითეთ მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.

(2) **2.** მოსწავლემ დაწერა: *…და დადის იგი ასე ქუჩაქუჩა, კარდაკარ და სიხარულს ანიჭებს ადამიანებს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **3.** მოსწავლემ დაწერა: *ხიდან დამზადებული სათამაშოები ეკოლოგიურად სუფთაა და სრულიად უსაფრთხო.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **4.** მოსწავლემ დაწერა: *ჩვენ საბჭოთა მემკვიდრეობიდან ბევრი რამ ვუარყავით.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **5.** მოსწავლემ დაწერა: *ჩინეთის იმპერატორმა ეს სასახლე სპეციალურად მისთვის ააშენებია.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **6.** მოსწავლემ დაწერა: *განხილვის საგანი იყო განცხადება, რაც დღეს პრესაში გავრცელდა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **7.** მოსწავლემ დაწერა: *უცებ ზემოდან ვენახების მხრიდან კურდღელმა ჩამოირბინა.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(4) **8.** თქვენი მიზანია აუხსნათ მოსწავლეებს სინტაქსური ურთიერთობის სახეები, კერძოდ, შეთანხმება.

(2) **I**. მოკლედ ჩამოაყალიბეთ შეთანხმებასთან დაკავშირებული ორი-სამი საკითხი, რომლებსაც მოსწავლეებს გააცნობთ.

(2) **II.** ჩამოაყალიბეთ სალიტერატურო ენის ნორმებიდან ორი საკითხი, რომლებიც შეთანხმებას უკავშირდება.

(7) **9.** წაიკითხეთ ნაწყვეტი ჯემალ ქარჩხაძის რომანიდან „ქარავანი“:

„პოპულარობა და სახელი ილუზიაა, ქვიშაში აგებული ციხე-კოშკი. განა შეიძლება ისეთი არშინი არსებობდეს, რითაც პოპულარობა გაიზომება? პოპულარობა ხომ დამოკიდებულია არა შემოქმედის ნიჭზე, არამედ მომხმარებლის გემოვნებაზე! ხოლო აქედან გამომდინარე, პოპულარობა ისაა, რომ უარი თქვა საკუთარ გზაზე, შენი ნიჭი მომხმარებელთა საეჭვო გემოვნებას დაუმორჩილო და თვალდახუჭულმა საკუთარ თავს უმტკიცო, რომ, ვისაც მოსწონხარ, სწორედ მასა აქვს მაღალი და დახვეწილი გემოვნება“.

(2) **I.** რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(2) **II.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ტექსტში წარმოდგენილი თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(2) **III.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

(12) **10.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. შეაფასეთ ნამუშევარი თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაწერეთ შესაბამისი ქულები. თქვენი შეფასება დაასაბუთეთ შემდეგნაირად: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყველა შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, პუნქტუაციურს, სინ-ტაქსურსა თუ სტილისტიკურს.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუ- თება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბა- მისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამი- სი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალი- თებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილის- ტიკური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

ჩვენი ქვეყნის ისტორიით ვამაყობთ, მაგრამ მისი შესწავლითა და ღრმად გააზრებით თავის შეწუხება არ გვინდა.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მოსწავლის ნამუშევარი:

ილია ჭავჭავაძე ამბობს: ერის გადაგვარება იწყება მაშინ, როცა ივიწყებს ისტორიას. მართლაც, ქვეყანა ისტორიის გარეშე იგივეა, რაც ადამიანი სულის გარეშე. არ არსებობს რასა, რომელიც არ ამაყობს და არ ინტერესდება თავიანთი წარსულით. პასუხი კითხვაზე - ვიაზრებთ თუ არა ღრმად ჩვენს ისტორიას და ვცდილობთ თუ არა მის შესწავლას, უარყოფითია. აშკარაა, რომ იმფორმაცია, რომელიც წლებისა და საუკუნეების წინ მოგვეპოვებოდა, „გაყინულია“.

პირველ რიგში, უდავოა, რომ საქართველო წარსულიდან გამომდინარე გამორჩეული ქვეყანაა. ეს თითოეულმა მოქალაქემ იცის, თუმცა ფაქტობრივი ცოდნა რამდენიმე მათთაგანს თუ მოეპოვება, რაც განათლების პრობლემას უსვავს ხაზს. დავით გურამიშვილი ამბობს: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს, საცნობრად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო.“ თუ ჩვენ არ გვეცოდინება „საიდან მოვდივართ“ არც ის გვეცოდინება, რომელი გზა უნდა ავირჩიოთ წასასვლელად. განვითარებული ქვეყნები გამუდმებით ცდილობენ ისტორიის ახალ დეტალების აღმოჩენას, რაც მათ წარმატებულ აწმყოზე ახდენს ასახვას.

შესაძლებელია ნაწილი ხალხისა არ იზიარებდნენ ჩემს პოზიციას და ისტორიის ცოდნასა და კვლევას სულაც არ ანიჭებდნენ უპირატესობას, თუმცა, ვფიქრობ, რომ მსგავსი მოსაზრება უტოპიურია, თუნდაც ზემოხსენებული არგუმენტებიდან გამომდინარე.

საბოლოოდ, შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელი მდგომარეობით საზოგადოება თავს არ იწუხებს ისტორიის შესწავლითა და ღრმა გააზრებით. ჩემი აზრით კი, იგი გზაა წარმატებული მომავლისაკენ.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **11. მოსწავლემ იკითხა:** *რა განასხვავებს ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირს სხვა მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟებისაგან?*

რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირი თავიდანვე იდეალური ადამიანია და სულიერი სრულყოფის მისაღწევად წინააღმდეგობრივი გზის გავლა არ უწევს.

ბ) ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირი ინდივიდუალური პიროვნება არ არის. ის იდეალური მოწამის განზოგადებული შაბლონური სახეა.

გ) ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირი რეალური ადამიანია, რომელიც სულიერ სრულყოფას ესწრაფვის და განღმრთობის გზით წმინდანი ხდება.

დ) ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირი ღრმად მორწმუნე ადამიანია, რომლის ძირითადი მიზანიც სხვებისთვის ზნეობრივი ღირებულებების ქადაგებაა.

(1) **12. მოსწავლემ იკითხა:** *მოღწეულია თუ არა ჩვენამდე „შუშანიკის წამების“ ავტორისეული ხელნაწერი?*

რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) „შუშანიკის წამების“ ავტორისეულ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. ტექსტის უძველესი ნუსხა X საუკუნით თარიღდება.

ბ) „შუშანიკის წამების“ ავტორისეულ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. ტექსტის უძველესი ნუსხა XVII საუკუნით თარიღდება.

გ) „შუშანიკის წამების“ ავტორისეულმა ხელნაწერმა ჩვენამდე მოაღწია და ის 476-482 წლებით არის დათარიღებული.

დ) „შუშანიკის წამების“ ავტორისეულმა ხელნაწერმა ჩვენამდე მოაღწია. მეცნიერები მას VI საუკუნის 50-იანი წლებით ათარიღებენ.

(1) **13. მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *„აბო თბილელის წამების“ ავტორი აბოს შესახებ წერს, რომ მან ბაღდადში „დაუტევა მამაი, და დედაი, და ძმანი, და დანი, და ნათესავნი, და მონაგებნი, და აგარაკები...“ რისთვის სჭირდება მწერალს მსგავსი დეტალების ხაზგასმით აღნიშვნა?*

რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ავტორი მკითხველს მიანიშნებს, რომ აბოს საქართველოში წამოსვლა უთვისტომობამ და სიდუხჭირემ კი არ განაპირობა, არამედ – ჭეშმარიტების შეცნობის სურვილმა.

ბ) ავტორი მკითხველს მიანიშნებს, რომ მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრობა აბოს მშობლიურ კერაზე თავის დამკვიდრებაში უშლიდა ხელს და ჭაბუკი გამოსავალს სხვაგან ეძებდა.

გ) ავტორი მკითხველს მიანიშნებს, რომ ოჯახის მიერ გარიყულ ჭაბუკს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და მის მიმართ კეთილგანწყობილ ნერსე ერისთავს საქართველოში გამოჰყვა.

დ) ავტორი მკითხველს მიანიშნებს, რომ შეძლებული და წარმატებული ჭაბუკი საქართველოში იმისთვის წამოვიდა, რათა არაბთა მიერ დაპყრობილ ეგზოტიკურ ქვეყანას გასცნობოდა.

(1) **14. მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ხანძთის ტერიტორია, სადაც ღრმად მორწმუნე ხუედიოს ბერი იყო დამკვიდრებული, უფლის ნებით სამოღვაწეოდ გრიგოლ ხანძთელს გადაეცა?*

რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) გრიგოლ ხანძთელი, ხუედიოს ბერისაგან განსხვავებით, ახალგაზრდა იყო და უფრო ენერგიულად შეეძლო მოღვაწეობა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც უღმრთოთაგან საფრთხე ელოდა.

ბ) გრიგოლ ხანძთელი, ხუედიოს ბერისაგან განსხვავებით, გავლენიან არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდა და რადგან ხანძთა სადავო ტერიტორია იყო, მის შენარჩუნებას ის უფრო შეძლებდა.

გ) გრიგოლ ხანძთელი, ხუედიოს ბერისაგან განსხვავებით, მარტო არ იყო. მას და მისი ძმობის წევრებს სამოღვაწეოდ უფრო დიდი ტერიტორია სჭირდებოდათ, ვიდრე მარტოხელა ბერს.

დ) გრიგოლ ხანძთელს, ხუედიოს ბერისაგან განსხვავებით, ამ ტერიტორიაზე არა მხოლოდ სულიერი სრულყოფის მიღწევა, არამედ „ტალანტის გამრავლება“ – მოწაფეთა გაზრდა – შეეძლო.

(1) **15. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისას მოსწავლემ იკითხა:** *ხომ არ გამორიცხავს ერთმანეთს ავტორის ეს ორი მოსაზრება: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“ და „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“?*

რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ეს მოსაზრებები ურთიერთგამომრიცხავი არაა, რადგან ორივე ფრაზაში ავტორი კარგ პოეტად მას მიიჩნევს, რომელსაც ერთი და იმავე სათქმელის როგორც ვრცლად, ასევე ლაკონიურად გადმოცემა შეუძლია.

ბ) ეს მოსაზრებები ურთიერთგამომრიცხავი არაა, რადგან პირველ ფრაზაში სათქმელის სხარტად, ლაკონიურად გადმოცემაზეა საუბარი, მეორე ფრაზაში - ვრცელი ნაწარმოების შექმნის ხელოვნებაზე.

გ) ეს მოსაზრებები ურთიერთგამომრიცხავია, რადგან პირველ ფრაზაში ავტორი იმ პოეტს ანიჭებს უპირატესობას, რომელსაც მცირე ზომის ლექსების შექმნა შეუძლია, მეორე ფრაზაში კი საპირისპირო აზრს ავითარებს.

დ) რა თქმა უნდა, ეს მოსაზრებები ურთიერთგამომრიცხავია, რაც იმას ადასტურებს, რომ დღემდე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ბევრია ისეთი სტროფი, რომელთაც ინტერპოლატორთა ხელი ეტყობა.

(1) **16. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის დროს მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება:** *პოემის მთავარი პერსონაჟების სწრაფვა სულიერი სრულყოფისაკენ არაფრით ჩამოუვარდება სასულიერო მწერლობის პერსონაჟთა ძალისხმევას. შეიძლება ითქვას, რომ საერო ლიტერატურა ამ თვალსაზრისით რაიმე სიახლეს ვერ გვთავაზობს.*

რომელი თვალსაზრისი გამოგადგებათ მოსწავლის მოსაზრების დასაზუსტებლად?

ა) მარადიული ღვთაებრივი ღირებულებები პოემაში მთლიანად უარყოფილია. ავტორს სულიერი სრულყოფის მიღწევის ერთადერთ ჭეშმარიტ გზად მხოლოდ რეალური ყოფა და ამქვეყნიური ურთიერთობები მიაჩნია.

ბ) მარადიული ღვთაებრივი ღირებულებებისაკენ სწრაფვა მართლაც მთავარი თემაა პოემისა, თუმცა ავტორი სულიერი სრულყოფისაკენ მიმავალ გზაზე ამქვეყნიურ ყოფას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

გ) მარადიული ღვთაებრივი ღირებულებებისაკენ სწრაფვა ნამდვილად ჩანს პოემაში, თუმცა ფაქტია, რომ ავტორი სულიერი სრულყოფის მიღწევის ასპარეზად მხოლოდ ამქვეყნიურ ყოფას მიიჩნევს.

დ) პოემის პერსონაჟთა სულიერი ღირებულებების არა თუ გაიგივება, შედარებაც კი წარმოუდგენელია სასულიერო მწერლობის გმირების მიერ ტანჯვით მოპოვებულ მოწამეობრივ სრულყოფასთან.

(1) **17. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** *რა განასხვავებს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს სახარების იგავებისაგან?*

რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები არაფრით განსხვავდება სახარებისეული იგავებისაგან. ისინი დიდაქტიკური ტექსტებია, რომლებიც მითოლოგიურ მოტივებს ეფუძნება.

ბ) სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები დიდაქტიკურ-ალეგორიული ტექსტებია, ხოლო სახარებისეული იგავები რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსისაა.

გ) სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები კომედიური ტექსტებია, ხოლო სახარებისეულ იგავებში წინააღმდეგობრივ ხასიათთა ტრაგიკული ჭიდილია გადმოცემული.

დ) სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები ცხოველთა და ფრინველთა ზღაპრულ სამყაროს გვაცნობს, ხოლო სახარებაში სოციალური თემატიკისა და ყოფითი საკითხების ამსახველი იგავებია.

(1) **18. დავით გურამიშვილის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** *რას ეუბნება მკითხველებს დავით გურამიშვილი ამ სიტყვებით:*

„სცან ამ ლექსთა იგავი, თარგმნე, თუ გიყვარდეო!
ქრთილის პურის ქერქშია შიგ თათუხი ჩავდეო,
ქერქი გაფრცვენ, განაგდე, შიგნით გულს კი სჭამდეო!“?

რომელი მოსაზრების გავრცობა გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ავტორი ამ სიტყვებით მიანიშნებს მკითხველებს, რომ მისი ტექსტები სიმბოლურ-ალეგორიულად უნდა წაიკითხონ.

ბ) ავტორი ამ სიტყვებით სთხოვს მკითხველებს, რომ მისი ტექსტების სხვა ენებზე გადათარგმნაზე იზრუნონ.

გ) ავტორი მოუწოდებს მკითხველებს, რომ სულიერ სრულყოფასთან ერთად ხორციელ საზრდოზედაც იზრუნონ.

დ) ავტორი შეახსენებს მკითხველებს, რომ ამ სიტყვების დედააზრი „ხორბლისა და ღვარძლის“ იგავს უნდა დაუკავშირონ.

(1) **19. გერონტი ქიქოძის თვალსაზრისით, ქართველ რომანტიკოსებს** „ახასიათებდათ ნაციონალური იდეების გაღვივება“.

ჩამოთვლილთაგან რომელ ლექსს გამოიყენებთ ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად?

ა) ალექსანდრე ჭავჭავაძის „ვისაც გსურთ“.

ბ) გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“.

გ) ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბულბული ვარდზედ“.

დ) ნიკოლოზ ბარათაშვილის „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა...“

(1) **20. ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მსჯელობისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა:**

რომელ ისტორიულ მოვლენას უკავშირდება პოეტის პირველი გადასახლება რუსეთში?

ა) 1802 წლის კახეთის შეთქმულებას.

ბ) 1804 წლის მთიულეთის აჯანყებას.

გ) კახეთის 1812 წლის აჯანყებას.

დ) იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებას.

(1) **21. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რით აიხსნება ის, რომ გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ენა ერის უპირველეს საგანძურად მიაჩნდა, სალიტერატურო ენის რეფორმატორ თერგდალეულებს ენის წაბილწვაში ადანაშაულებდა?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) გრიგოლ ორბელიანი არსებითად თვითონაც ახალი სალიტერატურო ქართულით წერდა, თუმცა თერგდალეულებს ენის მეტისმეტ გახალხურებაში („გამდაბიურებაში“) ადანაშაულებდა.
ბ) გრიგოლ ორბელიანი იზიარებდა თერგდალეულთა ენობრივ პრინციპებს, თუმცა გმობდა კონკრეტულად ილია ჭავჭავაძის არქაიზებულ და მაღალფარდოვან ლიტერატურულ მეტყველებას.
გ) გრიგოლ ორბელიანი მიიჩნევდა, რომ თერგდალეულთა ენა საკმარისად არ იყო დაახლოებული ხალხის მეტყველებასთან და ახალ თაობას ანტონ კათალიკოსის ენობრივი პოზიციის გაზიარებას უწუნებდა.
დ) გრიგოლ ორბელიანისა და თერგდალეულთა ენობრივ პოზიციებს შორის არავითარი განსხვავება არ ყოფილა და პოეტის ძირითადი მიზანი კონფლიქტის მაქსიმალურად გამწვავება იყო.

(1) **22. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა“ შესწავლისას მოსწავლემ იკითხა:** *პოემაში ერეკლე მეფე და მისი მსაჯული რუსეთთან კავშირის შესახებ ისე კამათობენ, თითქოს ამ დროისთვის ერეკლეს რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატი დადებული არ ჰქონოდა. რას უნდა მიეწეროს ასეთი შეუსაბამობა?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ავტორი დაეყრდნო ხალხურ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, გეორგიევსკის ტრაქტატი მოგვიანებით, კრწანისის ომის შემდეგ, გაფორმდა.

ბ) ერეკლეს მიერ შერისხული მსაჯული დიდხანს არ იმყოფებოდა საქართველოში და, შესაძლებელია, ტრაქტატის დადების ფაქტი საერთოდ არ სცოდნოდა.

გ) ლიტერატურულ ნაწარმოებში ავტორის უფლებაა, არ დაიცვას მოვლენათა ქრონოლოგია და არსებითად ახალი მხატვრული სინამდვილე შექმნას.

დ) ჩვენამდე ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფს არ მოუღწევია და, შესაძლოა, ტექსტი გადამწერის მიერ იყოს შეცვლილი.

(1) **23. კოხტა აფხაზი იგონებს:** *„ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“.*

ვინ გააცნო ილიას ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება?

ა) გრიგოლ ორბელიანმა.
ბ) ეკატერინე ჭავჭავაძემ.
გ) ლევან მელიქიშვილმა.
დ) ოლღა გურამიშვილმა.

(1) **24. დავით წერედიანის თვალსაზრისით,** *„რომანტიკული ნაკადი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ყოველთვის ძალუმად ჩქეფდა“.*

რომელი ნაწარმოები გამოგადგებათ იმის საილუსტრაციოდ, რომ აკაკის პოეზიაში რომანტიკული ნაკადი მართლაც აშკარად იგრძნობა?

ა) „ვაჟა-ფშაველას“.
ბ) „პოეტი“.
გ) „ქებათა-ქება“.
დ) „ხანჯალს“.

(1) **25.** ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ შესწავლისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა: *არის თუ არა ბახტრიონის ბრძოლა სხვა რომელიმე ლიტერატურულ ტექსტშიც ასახული?*

რომელ ნაწარმოებს დაუსახელებთ მოსწავლეს იმის საილუსტრაციოდ, რომ ბახტრიონის ბრძოლა სხვა მხატვრულ ტექსტშიც არის ასახული?

ა) აკაკი წერეთლის მოთხრობას „ბაში-აჩუკი“.
ბ) ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობას „ელისო“.
გ) ვაჟა-ფშაველას პოემას „სინდისი“.
დ) ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი“.

(1) **26.** „სამანიშვილის დედინაცვლის“ შესწავლისას მოსწავლემ აღნიშნა, რომ დავით კლდიაშვილი ყველა თავის ნაწარმოებში ტრაგიკულ ვითარებას კომიზმის ელემენტებით „ამსუბუქებს“.

დავით კლდიაშვილის რომელი ნაწარმოების წაკითხვას ურჩევთ მოსწავლეს იმის საილუსტრაციოდ, რომ მწერალი ტრაგიკული ვითარების ასახვისას ყოველთვის არ იყენებს კომიზმს, როგორც მხატვრულ საშუალებას?

ა) „დარისპანის გასაჭირი“.
ბ) „მსხვერპლი“.
გ) „როსტომ მანველიძე“.
დ) „სოლომან მორბელაძე“.

(1) **27. რომელ ინფორმაციას გააცნობთ მოსწავლეებს, რომ ტიციან ტაბიძის ლექსი „ანანურთან“ სიღრმისეულად გაიაზრონ?**

ა) ელენე დარიანისა და ტიციანის შემოქმედებითი მეგობრობის დეტალებს.
ბ) მარო მაყაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ახალ მასალას.
გ) ნინო მაყაშვილისა და ტიციანის უიღბლო სიყვარულის ამბავს.
დ) ულამაზესი თამუნია წერეთლის ტრაგიკული ცხოვრების ისტორიას.

(1) **28. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** *რატომ არიან ასე მტკიცედ დარწმუნებული ზვიად სპასალარი და ხევისბერი, რომ ფხოველები ხატის ტყეში საომრად არ შევლენ?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ფხოვში გავრცელებული უძველესი შეხედულების მიხედვით, ხატის ტყეს განსაკუთრებული ენერგია ჰქონდა და მეომრებს ძალას აცლიდა.

ბ) ფხოვში შემორჩენილი უძველესი ჩვეულების მიხედვით, ხატის ტყე წმინდა ადგილად მიიჩნეოდა და ტრადიციის ერთგული ფხოველები იქ სისხლს არ დაღვრიდნენ.

გ) ხატის ტყე გაუვალი ადგილი იყო, რადგან იქ მცენარეების მოჭრა იკრძალებოდა. ფხოველებმა იცოდნენ, რომ მას საომარი მოქმედებებისთვის ვერ გამოიყენებდნენ.

დ) ხატის ტყე ქრისტიანთა სალოცავ წმინდა ადგილად იყო მიჩნეული და მას შემდეგ, რაც ქრისტიანობას განუდგნენ, ფხოველები იქ შესვლას ერიდებოდნენ.

(1) **29. გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ შესწავლისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რა მხატვრული დატვირთვა აქვს ავტორის მიერ დამოწმებულ საგაზეთო ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, ალავერდობა იქცა „ლოთების, უსაქმურების ხანმოკლე შფოთისა და დროსტარების ადგილებად“?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ავტორი საგაზეთო ინფორმაციას იმოწმებს, რადგან ეთანხმება ასეთ შეფასებას და პრობლემის მხატვრული ასახვისას მთლიანად ეყრდნობა მას.

ბ) ავტორი ხაზს უსვამს კონტრასტს მოვლენის ბანალურ და ზერელე საგაზეთო შეფასებასა და პრობლემის რეალურ სიღრმესა და სერიოზულობას შორის.

გ) ავტორი გაზეთის გავლენასა და ავტორიტეტს იყენებს, რადგან ფიქრობს, რომ ეს მის ნაწარმოებს უფრო პოპულარულს გახდის.

დ) ავტორმა იცის, რომ უფრო ადვილად დაუბეჭდავენ ნაწარმოებს, თუ მასში აღწერილ რეალურ მოვლენას საგაზეთო ინფორმაციით დაადასტურებს.

(1) **30. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ დაწესებულების ხელმძღვანელი ამბობს:** *„ყურადღება უნდა მიექცეს მის თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება, ჯერ ერთი, იმით, რომ წარმოადგენს ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს, შედის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში.“*

რა მხატვრული ფუნქცია აკისრია ტექსტში ხელმძღვანელის მეტყველების მანერას?

ა) წარმოაჩენს დაწესებულებაში არსებულ საქმიან გარემოს.
ბ) წარმოაჩენს დაწესებულებაში არსებულ შემოქმედებით გარემოს.
გ) წარმოაჩენს პერსონაჟის ინტელექტუალურ სიღატაკეს.
დ) წარმოაჩენს ხელმძღვანელის პროფესიულ კომპეტენციას.

III. მხატვრული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები ნუგზარ შატაიძის მოთხრობიდან „ნოემბრის წვიმა“:

ალექსანდრე ელენესაკენ ზურგშექცევით იდგა და კედელზე გაკრულ სურათებს ხსნიდა - უკვე ჩამოეღო ილიას, აკაკის, ვაჟას ფოტოები და ახლა მეფის არმიის პოლკოვნიკის ფორმიან გიორგი ჯანელიძის სურათს აძრობდა.

დაბნეული ელენე ჩუმად უყურებდა ქმრის საქმიანობას. ვერ გაეგო რაში სჭირდებოდა ახლა, ამ შუაღამისას, ალექსანდრეს ეს სურათები, მაგრამ როცა სიმამრის ფოტოც ჩამოხსნა, ღუმელთან მიიტანა და ოთხივე ცეცხლს შეუკეთა, ელენემ შეჰყვირა და ხელებგაწვდილმა წინ წაიწია.

ცოლის ყვირილზე ღუმელთან ჩაჩოქილმა ალექსანდრემ უკან მოიხედა და ელენემ დაინახა მისი მიტკალივით გაფითრებული სახე, უპეებჩაშავებული თვალები და მორღვეული, უფორმო პირი. თავზარდაცემული შეჰყურებდა ამ ერთ ღამეში დაჩაჩანაკებულ, უცნაურად შეცვლილ ქმარს. ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა, რა უბედურება ტრიალებდა მათ თავს და, როცა ალექსანდრემ ასადგომად აიწია, მაგრამ მუხლმოკვეთილმა წაიბორძიკა და იატაკს ხელით დაებჯინა, ელენე სწრაფად მიუახლოვდა, წამოაყენა, სავარძელთან მიიყვანა და შიგ ფრთხილად ჩასვა.

ბერიკაცმა წყლიდან ამოგდებული თევზივით აალამუნა ტუჩები.

- ჰო, რა იყო, საშა, ცუდადა ხარ?

ჰკითხა ელენემ, მაგრამ ალექსანდრე ხმას ვერ იღებდა, ცოლს უაზროდ მიშტერებოდა, თითქოს ვერ გაეგო, ვინ იყო ეს ქალი, აქ საიდან მოსულიყო ან რა უნდოდა და როცა იმან კომოდის უჯრიდან პიტნის წვეთების პატარა ბოთლი ამოიღო, აკანკალებული ხელით წყლიან ჭიქაში ჩააყირავა და მერე ის ჭიქა პირთან მიუტანა, ჩახრინწული ხმით უთხრა:

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

- ნიკო და მისი ცოლი წაიყვანეს წეღან.

- დალიე ეს, დალიე! - აჩქარებით უთხრა ქალმა და, როცა ალექსანდრემ ჭიქა გამოსცალა, მერეღა ჰკითხა, - სად წაიყვანეს, საშა, რას ამბობ?!

- არ ვიცი, მანქანაში ჩასვეს ორივენი და წაიყვანეს.

- კი მაგრამ, ბავშვი?!

ალექსანდრე ერთხანს უხმოდ მისჩერებოდა, სახე დაეძაბა, თითქოს რაღაცას იხსენებსო.

- არ ვიცი, ბავშვი არ დამინახავს.

ელენე კართან მიიჭრა, გასაღები გადაატრიალა, გააღო და აჩქარებული გარეთ გაიჭრა...

კარმა გაიჭრიალა და სავარძელში მჯდომი ალექსანდრე შეკრთა. ოთახში ელენე შემოსულიყო, ხელში მძინარე ბავშვი ეჭირა. ელენეს ეცოდებოდა ასე ობლად, უდედმამოდ დარჩენილი პატარა ბიჭი, რომელსაც ბრმა ლეკვივით ჯერ თვალიც არ აეხილა და უკვე საშინელ განსაცდელს უმზადებდა წუთისოფელი. თავზარს სცემდა ნუნუსა და ნიკოს დაჭერა. ვერ წარმოედგინა, რა უნდა ჩაედინათ ამ მშვიდ, უწყინარ ადამიანებს ისეთი, რომ შუაღამისას შინ მოუცვივდნენ, ლოგინიდან წამოყარეს და ისე წაასხეს, თოთო ბავშვსაც არ გაუწიეს ანგარიში...

ღამე გაბაცებულიყო, ოთახში დილის რიჟრაჟის მკრთალი ნათელი შემოდიოდა და, აწი, ალბათ, აღარ მოვლენო, გაიფიქრა ალექსანდრემ. წესად ჰქონდათ, ,,ხალხის მტრებს“ ღამღამობით აპატიმრებდნენ, იშვიათად თუ ვინმეს დღე დაიჭერდნენ...

- ჩემი მოსწავლე იყო ერთი, - თქვა ბოლოს და ჩახრინწული ყელი რომ ჩაეწმინდა, ჩაახველა.

- რომელი?

- არ იცი შენ.

- მერე, ვერ უთხარი რამე?! - ხმაში საყვედური გაერია ელენეს.

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ალექსანდრეს ნაძალადევმა ღიმილმა დაუგრიხა ტუჩები, დაცარიელებულ კედელს შეავლო თვალი და ელენემაც ძალაუნებურად იქით გაიხედა. გახუნებულ, გაცრეცილ შპალერს მკვეთრად აჩნდა ის ადგილები, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ სურათები ეკიდა.

- გუშინ პატარა წაკინკლავება მომიხდა იმ ბიჭთან და მეგონა, ჩემს დასაჭერად იყვნენ მოსულები.

- მოიცა, თუ კაცი ხარ, დალაგებით მომიყევი ყველაფერი!

- ილიას „გაზაფხული“ წავუკითხე. რა ვიცოდი, ჩეკისტი თუ მეჯდა კლასში. კლასობრივი მტერია მაგ ლექსის დამწერიო, მითხრა!

- მერე?

- ყური ავუწიე და მგონი წამოვარტყი კიდეც პატარაზე.

ელენემ ტუჩებზე ხელის გული მიიფარა. ერთხანს ეგრე უყურეს ერთმანეთს.

- მაგისთვის ვინ დაუჭერიათ, შე კაცო! - თქვა ბოლოს ქალმა.

იმედიანი იყო ელენეს ნათქვამი - მაგისთვის ვინ დაუჭერიათო... ალექსანდრემ კარგად იცოდა, რომ ამაზე გაცილებით უმნიშვნელო რამისთვისაც იჭერდნენ...

ამ ორიოდე თვის წინათ ალექსანდრეს ქუჩაში ერთი შორეული ნათესავი შეხვდა, შუახანს გადაცილებული კაცი მანასი წიქორიძე. მისი ნახვით გახარებულმა ალექსანდრემ მანასი რესტორანში დაპატიჟა. დალიეს თითო ბოთლი ღვინო, მოიკითხეს ერთმანეთი, გაიხსენეს ძველი ამბები, ნათესავები. შუა პურის ჭამაში ყოფილ მღვდელს უეცრად ტირილი წასკდა, თვალებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები, ვეღარ ჩერდებოდა. კარგა ხანი გავიდა, სანამ დამშვიდდებოდა, მერე შეცბუნებულ ალექსანდრეს გამოუტყდა, სწორედ ახლა მოვდივარ შინსახკომიდან, სადაც ხელწერილი დამაწერინეს, რომ ვალდებული ვარ არაკეთილსაიმედო ხალხს თვალყური ვადევნო და საიდუმლო განყოფილებას მათ შესახებ ცნობები

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

მივაწოდოო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, ძველი რევოლუციონერი და მირჩიე რა ვქნა, როგორ მოვიქცეო.

ალექსანდრე გაშრა, უეცრად შესძულდა საკუთარი თავიცა და მანასი წიქორიძეც, გამტკნარებული იჯდა, ერთი სული ჰქონდა, აქედან როდის წავიდოდა. მანასი არ ეშვებოდა, ეხვეწებოდა, მირჩიე რამეო. ბოლოს, ალექსანდრე ადგა, ყოფილ მღვდელს უთხრა, ისე მოიქეცი, როგორც საკუთარმა სინდისმა გიკარნახოსო, ოფიციანტს დანახარჯი გადაუხადა, დაბნეული სტუმარი გაშლილ სუფრასთან მიატოვა და წავიდა.

ალექსანდრემ იცოდა, რომ საქართველო სავსე იყო მანასი წიქორიძის მსგავსი აგენტებით და, ცხადია, სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა დააბეზღა ნიკოც...

ალექსანდრემ შენიშნა, რომ ცოლი თვალს არიდებდა, სამაგიეროდ წამდაუწუმ დაცარიელებული კედლისკენ გაურბოდა თვალი და, ცოტა არ იყოს, შერცხვა თავისი წეღანდელი საქციელისა, მაგრამ გუნებაში მაინც გაიმართლა თავი - სურათები ხომ იმიტომ დაწვა, რომ სულ მცირე, იოტისოდენა სამხილიც კი მოესპო და ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ დაპატიმრების შემთხვევაში ისეთს ვერაფერს უპოვნიდნენ, რაც მის საწინააღმდეგოდ გამოადგებოდათ, მაგრამ, მოულოდნელად, თითქოს შიგნით რაღაც აუფეთქდაო, გონება თვალისმომჭრელმა შუქმა გაუნათა. ამ უეცარი შეგრძნებისაგან ალექსანდრე ფეხზე წამოხტა და საწოლი ოთახის კარს მიაშტერდა: იქ, იმ კარს მიღმა უდრტვინველად ეძინა პატარა მერაბს, დღეის ამას იქით ხალხის მტრის შვილსა და ყველაზე დიდ სამხილს, რაც სრულიად კმაროდა მისი და ელენეს ირკუტსკში, ზნამენკასა თუ ბოდაიბოში გადასასახლებლად...

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.

მოცემული პასუხებიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X.

(1) **31.** ალექსანდრეს როგორი მდგომარეობაა გადმოცემული მესამე აბზაცში?

ა) თავშეკავებულობას ამჟღავნებს.

ბ) სიმტკიცეს ინარჩუნებს.

გ) სულიერად განადგურებულია.

დ) ფიზიკურად დაუძლურებულია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **32.** **რომელ ფრაზაში მიმართავს ავტორი ტროპულ მეტყველებას?**

ა) „ბერიკაცმა წყლიდან ამოგდებული თევზივით აალამუნა ტუჩები“.

ბ) „დაბნეული სტუმარი გაშლილ სუფრასთან მიატოვა და წავიდა“.

გ) „ელენე სწრაფად მიუახლოვდა, წამოაყენა, სავარძელთან მიიყვანა“.

დ) „თვალებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები, ვეღარ ჩერდებოდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **33.** მეზობლების დაპატიმრებისთანავე რაზე იწყებს ფიქრს ალექსანდრე?

ა) იზრუნოს მეზობლების შვილზე.

ბ) იზრუნოს ცოლის უსაფრთხოებაზე.

გ) მოსპოს სავარაუდო სამხილები.

დ) როგორმე დაამშვიდოს ცოლი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **34.** **რომელ ფრაზაში ჩანს ყველაზე მკაფიოდ ელენეს უკომპრომისო ბუნება?**

ა) „ალექსანდრემ შენიშნა, რომ ცოლი თვალს არიდებდა, სამაგიეროდ წამდაუწუმ დაცარიელებული კედლისკენ გაურბოდა თვალი...“

ბ) „დაბნეული ელენე ჩუმად უყურებდა ქმრის საქმიანობას. ვერ გაეგო, რაში სჭირდებოდა ახლა, ამ შუაღამისას, ალექსანდრეს ეს სურათები...“

გ) „ელენე კართან მიიჭრა, გასაღები გადაატრიალა, გააღო და აჩქარებული გარეთ გაიჭრა...“

დ) „ელენემ დაინახა მისი მიტკალივით გაფითრებული სახე, უპეებჩაშავებული თვალები და მორღვეული, უფორმო პირი“.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე](#)

(1) **35.** რაზე მიანიშნებს ავტორი სიტყვებით: „ნაძალადევმა ღიმილმა დაუგრიხა ტუჩები“?

ა) პერსონაჟის გულგრილობაზე.

ბ) პერსონაჟის სიმტკიცეზე.

გ) პერსონაჟის უძლურებაზე.

დ) პერსონაჟის შემართებაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **36.** რა ტიპის მმართველობის ფორმაზე მიანიშნებს სიტყვები: „კლასობრივი მტერი“, „ჩეკისტი“, „შინსახკომი“?

ა) ბოლშევიკურ მმართველობაზე.

ბ) დემოკრატიულ მმართველობაზე.

გ) მონარქიულ მმართველობაზე.

დ) ნაცისტურ მმართველობაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **37.** რას ელოდება მასწავლებელი თავისი ჩეკისტი მოსწავლისაგან?

ა) დაპატიმრებას.

ბ) მობოდიშებას.

გ) მონანიებას.

დ) შეკამათებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **38.** რატომ არ სჯერა ალექსანდრეს ელენეს იმედიანი სიტყვებისა?

ა) დარწმუნებულია, რომ მეზობელი დაასმენს.

ბ) ელოდება, რომ სხვა მოსწავლეებიც დაუპირისპირდებიან.

გ) იაზრებს, რომ დამნაშავეა თავისი მოსწავლის წინაშე.

დ) იცის, რომ უსამართლო ქვეყანაში ცხოვრობს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **39.** რა არის ყოფილი მღვდლის უეცარი ატირების მიზეზი?

ა) ალექსანდრესთან შეხვედრამ წარსული და ახლობლები გაახსენა, რამაც გული აუჩუყა.
ბ) გამოცდილი ადამიანის დახმარება სჭირდება, მაგრამ ხვდება, მისი ბედი არავის აწუხებს.
გ) უღირსი დავალების შესრულება არ უნდა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია.
დ) შინსახკომის დავალების შესრულება უნდა, მაგრამ არ იცის, ეს როგორ გააკეთოს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **40.** **რომელი ფრაზა მიანიშნებს, რომ ზნეობრივი ნაბიჯი, შესაძლოა, ადამიანისათვის სახიფათოდ იქცეს?**

ა) „ალექსანდრე გაშრა, უეცრად შესძულდა საკუთარი თავიცა და მანასი წიქორიძეც, გამტკნარებული იჯდა, ერთი სული ჰქონდა, აქედან როდის წავიდოდა“.

ბ) „ალექსანდრემ შენიშნა, რომ ცოლი თვალს არიდებდა... და, ცოტა არ იყოს, შერცხვა თავისი წეღანდელი საქციელისა...“

გ) „დაბნეული ელენე ჩუმად უყურებდა ქმრის საქმიანობას. ვერ გაეგო რაში სჭირდებოდა ახლა, ამ შუაღამისას, ალექსანდრეს ეს სურათები...“

დ) „უდრტვინველად ეძინა პატარა მერაბს, დღეის ამას იქით ხალხის მტრის შვილსა და ყველაზე დიდ სამხილს“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(5) **41.** იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!